პროექტი

საქართველოს კანონი

„საექიმო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „საექიმო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №18, 28.06.2001, მუხ. 62) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-11 მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,5. უცხო ქვეყნის სპეციალისტს საქართველოში დროებითი დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის ან ერთჯერადი სამედიცინო მომსახურების უფლებას აძლევს პროფესიული განვითარების საბჭო (შემდგომში – საბჭო) ექიმთა შესაბამისს პროფესიულ ასოციაციასთან შეთანხმებით.''

2. მე-11 მუხლის მე-5 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის 5^1 ქვეპუნქტი:

,,5^1 უცხო ქვეყნის სპეციალისტის საქართველოში დროებითი საქმიანობის ან ერთჯერადი სამედიცინო მომსახურების უფლების გაცემის წესს ადგენს სამინისტრო''.

მუხლი 2. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ 2019 წლის 1 თებერვლამდე შეიმუშაოს უცხო ქვეყნის სპეციალისტის საქართველოში დროებითი საქმიანობის ან ერთჯერადი სამედიცინო მომსახურების უფლების გაცემის წესი.

მუხლი 3.

1. ეს კანონი ამოქმედდეს 2019 წლის 1 თებერვლიდან.

საქართველოს პრეზიდენტი **სალომე ზურაბიშვილი**